



Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

ძიება

გაფართოებული ძიება



- მთავარი
- სიახლეები
- გამოცემები
- კანონმდებლობა
- ანგარიშები
- HRIDC-ს შესახებ
- ბმულები
- კონტაქტი
- Text Version

ხელისუფლების სპონსორი „მადნეული“ გარემოს „ისტორიულად აბინძურებს“

15.11.2010



მანონ ბოკუჩავა, ქვემო ქართლი

გარემოს დამცველები წლებია, საუბრობენ საწარმო „მადნეულის“ ნარჩენებით ბოლნისის მდინარეების - კაზრეთულასა და მაშავერას დაბინძურებაზე. ერთ-ერთი ბოლო სერიოზული დაბინძურება მათი და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, 2010 წლის მაისის-ივნისში მოხდა.

„მორიგ დაბინძურებაზე ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობისგან მივიღეთ. მათი თქმით, ერთი ჰერიოდი მდინარე მაშავერა მართლაც დასუფთავდა. შესამჩნევი იყო, რომ „მადნეული“ მიერ გამოყენებული წყლები და ნარჩენები მდინარეში არ ჩადიოდა. მკვდარ მდინარედ ცნობილ მაშავერაში თევზებიც კი გაჩნდნენ. თუმცა, ზაფხულში, ადგილობრივების თქმით, მდინარემ დახოცილი თევზები ნაპირზე გამოიყა. ამ დაბინძურებაზე ინფორმაციას ფლობს გარემოს დაცვის სამინისტროც. მათი დავალებით შესაბამისი ანალიზები გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ჩატარა“, – გვესაუბრება „კავკასიის გარემოს დამცვეთი არასამთავრობო რგანიზაციების ქსელის“ პროექტის კოორდინატორი რეზო გეთიაშვილი, – „გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემები საგანგაშოა. თავისთავად დგას მადნეულის პასუხისმგებლობის საკითხი და ამას თქმაც არ უნდა, მაგრამ ჩნდება კითხვა: რატომ არ გახადა სამინისტრომ და ზოგადად მთელმა მთავრობამ აღნიშნული შემთხვევის შედეგები საჯარო?! ბოლნისელებს, რომლებიც დაბინძურებულ გარემოში ცხოვრობენ, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ უფლება, ჰქონდეთ ეს ინფორმაცია. მათ უნდა იცოდნენ, რა საფრთხეებია მათ საცხოვრებელ გარემოში, რათა თავადაც ჰქონდეთ საშუალება, გაერიდონ მას“.

„მადნეულთან“ დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე გარემოს დაცვის სამინისტრომ პასუხები არ მოგვწერა, თუმცა როგორც ჩვენი კოლეგა „ნეტგაზეტი“ მადნეულის შესახებ წერს – გარემოს დაცვის სამინისტრომ მას „მადნეულის“ მიერ მდინარეების ბოლო დაბინძურების მონიტორინგის შედეგები სრულიად შემთხვევით გადასცა.

„შემთხვევით“ გადაცემულ ამ დოკუმენტში, რომელიც გარემოს დაცვის ინსპექციის დაკვეთით გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა, ასეთი შედეგები გვაქვს; მძიმე ლითონების კონცენტრაცია მდინარე მაშავერაში ბევრად აღემატება დასაშვებ ნორმებს. მათ შორის სპილენძის კონცენტრაცია 14-ჯერ, თუთიის 5-ჯერ, რკინის 9-ჯერ და მანგანუმის 2-ჯერ.

გამოკვლევის შედეგებით ირკვევა, რომ მდინარე მაშავერას დაბინძურება მხოლოდ იმ მონაკვეთიდან იწყება, სადაც მას კაზრეთულა უერთდება. კაზრეთულა კი „მადნეულის“ სიახლოვეს გადის. ორივე მდინარეს ბოლნისის მაცხოვრებლები სარწყავად იყენებენ. შესაბამისად, მძიმე მეტალებით გამდიდრებული ნიადაგიდან იღებენ საკვებ პროდუქტებს.

წლების წინ ბოლნისის რაიონის ეკოლოგიურ პრობლემებზე ქართველი ექიმებიც საუბრობდნენ. მაგალითად, დავით ტატიშვილის ცენტრი აცხადებდა, რომ არსებული ეკოლოგიური სურათის გამო ბოლნისში ონკოლოგიური დაავადებების კონცენტრაცია შენიშნებოდა. მასწინ აღნიშნულ ცენტრს მოქალაქეთა გასინჯვა თავად ბოლნისის გამგეობამ სთხოვა. „გასინჯული 706 ბოლნისელი ქალბატონიდან 253-ს სარძევე ჯირკვლის ფიბროზული მასტოპათია აღმოაჩნდა. ამ ინფორმაციიდან ცოტა ხანში ყველა სამედიცო დაწესებულებამ და მათ შორის ტატიშვილის ცენტრმა ამ თემაზე საუბარი შეწყვიტა.“

„მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე გვაჩვენებს წერილს, რომელიც მათ ერთ-ერთ ანგარიშში მოხვდა. აღნიშნული წერილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სამედიცინო დაწესებულებებს გადაუგზავნა. მასში ვკითხულობთ საკრებულოს მითითებას, რომელიც „რაიონის ინტერესებიდან გამომდინარე“ სამედიცინო დაწესებულებებს მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გაცემას საკრებულოს პრესსამსახურების შეთანხმებით ავალბს.

„ყველაზე დიდი დანაშაული „მადნეულის“ მიმართ მთავრობამ პრივატიზაციისას დაუშვა. პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ ინვესტორს არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა საწარმოს ძველ ისტორიულ დაბინძურებაზე. ტერმინს - „ისტორიული დაბინძურება“ კანონი საერთოდ არ იცნობს. პრივატიზაციისას საწარმოს ახალ მფლობელზე გადადის ყველა ის გარემოს დაცვითი ვალდებულება, რაც მანამდე საწარმოს ჰქონდა. საქმე ისაა, რომ არ ჩატარებულა აუდიტი, რათა გაგვეგო, რა იყო ეს „ისტორიული დაბინძურება“ და რა მიამატა

სხვა სიახლეები

რუსთაველი დანაშაულის აღკვეთისას მოქალაქე დაიჭრა

GNCC-ის წევრებმა გასულ წელს პრემიის სახით 331 ათასი ლარი მიიღეს

პარლამენტის თავმჯდომარემ დაცვის წევრების ქმედებებზე ისაუბრა

შსს სხეულზე სატარებელი ვიდეო-სამეთვალყურეო კამერის შექმნას გეგმავს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმეზე პატიმრობაში მყოფ პირებზე ზეწოლის ფაქტები გამოძიებული უნდა იქნეს

არქივი



ბლოგი

ქართული პოლიტიკური რეკლამის ისტორიული ექსკურსი



2005 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სატელევიზიო პოლიტიკურ რეკლამებს ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე მხოლოდ ხანმოკლე (ასე - ორკვირიანი), ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

[ერკლად...](#)

წინასაარჩევნო სარეკლამო დაპირებები

პოლიტიკური რეკლამების ხარისხი და მიზანი

არქივი

რედაქტორის აზრი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მალაჩინოსნების სასამართლო პროცესებს დააკვირდება



ადამიანის უფლებათა ცენტრი იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც, ცენტრის ოქრისტები და ჟურნალისტები ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესებს მონიტორინგს გაუწევენ.

[ერკლად...](#)

საერთაშორისო ზეწოლის შედეგად სახელმწიფო აუდიტმა და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ რეპრესიები შეაჩერეს

ავგისტოს ომი - ვინ არის დამნაშავე?

ახალმა ინვესტორმა. შეიქმნა სიტუაცია, როცა ინვესტორს ყოველთვის შეუძლია ახალ დაბინძურებაზე თქვას - ეს წარსულის არისო. ასეთ სიტუაციაში თავი ხელისუფლებამ თვითონ ჩაიგდო“, - ამბობს ნინო გუჯარაიძე.

„მადნეულის“ მეპარონე ამჟამად რუსული კომპანია „პრომიშლენიე ინვესტორია“. მოსახლეობას რომ ყურში ცუდად არ მოხვედროდა ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს რუსებისთვის გადაცემა, თავიდან ითქვა, რომ მყიდველი მსოფლიოში თავისი წარმატებულობით ცნობილი ბრიტანული კომპანია Stanton Equitiez Corporation იყო. მოგვიანებით კი ამ უკანასკნელს აღმოაჩნდა შვილობილი რუსული კომპანია, რომელიც აღმოჩნდა „მადნეულის“ რეალური მეპატრონე.

რუსული კომპანიისადმი მთავრობის უჩვეულო მფარველობით დამოკიდებულებაზე გუჯარაიძე საუბრობს - „ეს კომპანია დღეს გარემოს დაცვით ნებართვებს საოცარი სიმარტივით იღებს“.

„მადნეულისა“ და მთავრობის შეხმატვილებულ თანაარსებობაზე სხვა ფაქტებიც მეტყველებს. ყველა გენერალური დირექტორი, რომელიც „მადნეულს“ ჰყოლია, მთავრობასთან დაახლოებული პირია. ერთ-ერთი იყო ბოლნისის ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ნაყოფია, რომელმაც „მადნეულში“ „ნაყოფიერი“ მუშაობის შემდეგ პარლამენტში გადაინაცვლა. მეორეა მანუჩარ ახალაია, რომელიც, მედიის ინფორმაციით, შესაძლოა, ახლო მომავალში აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელადაც კი მოგვეცნობინოს.

„მადნეული“, ფაქტობრივად, ხელისუფლების გავლენიანი წრეების სპონსორია. „საწარმოო რუსების ხელშია, მაგრამ ბუნებრივია, ქართველებიც აკეთებენ ფულს. მდინარეების დაბინძურების გარდა, სხვა უსერიოზულესი პრობლემაც არსებობს. მოპოვებული მადანი გადააქვთ ე.წ კუდსაცავებში - დაბა კაზრეთში. იქ ნედლეულის გორები დგას. ტექნოლოგიურად სისტემა ასეა მოწყობილი - მთის თავზე არის დრენაჟი, საიდანაც ნედლეულს რწყავენ ნატრიუმის ციანიდით. ეს უაღრესად მომწამლავი და შხამიანი ნივთიერებაა. წლების განმავლობაში ასე ხდება. იქაურობა სულ გაჟღენთილია ამ ნივთიერებით და იქ ყველაფერი მკვდარია. ჩვენ ღმერთმა დავგიფაროს, მაგრამ ასეთივე ტიპის საწარმოს მსგავსი კუდსაცავი ჩაინგრა რუმინეთში და ეს ლამის გენოციდის ტოლფასი იყო“, - ამბობს მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელი გიორგი გაჩეჩილაძე.

გარემოს დაცვის სამინისტროს მსგავსად, „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ „მადნეულის“ ადმინისტრაციასაც მისწერა წერილი. თუმცა, წერილი ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხი არ „მადნეულიდან“ მივიღია. ზოგადად კი როცა საუბარი ეკოლოგიას ეხება, „მადნეულის“ ადმინისტრაცია ყოველთვის აცხადებს, რომ ამ კუთხით სერიოზული პრობლემები არა აქვთ. ადგილობრივები კი მედიასთან ამ თემაზე დიად საუბარს გაურბიან, რადგან ხშირად, ამ საწარმოში არიან დასაქმებული.

<< უკან დაბრუნება



დატოვეთ თქვენი კომენტარი

თქვენი სახელი:

თქვენი კომენტარი:

ქართულად
დამცავი კოდი:

გამოკითხვა

თქვენი აზრით, პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული პოლიტპატიმრები იმსახურებდნენ თუ არა განთავისუფლებას?

- უნდა გაეთავისუფლებინათ
- არ უნდა გაეთავისუფლებინათ
- მხოლოდ ნაწილი უნდა გაეთავისუფლებინათ
- მიჭირს პასუხის გაცემა

წინ

შედეგები არქივი



თემები

ბავშვები	ჯანდაცვა
ქალები	კორუფცია
მართლმსაჯულება	არჩევნები
ლტოლილები / დევნილები	განათლება
უმცირესობები	პატიმრები
მედია	რელიგია
ჯარი	სხვა

კატეგორიები

ჟურნალისტური მოკვლევა	ინტერვიუ
სტატია	უცხოური მედია
რეპორტაჟი	საქართველოს შესახებ
ანალიზი	რედაქტორის აზრი
ფოტო რეპორტაჟი	პოზიცია
ექსკლუზივი	მკითხველის აზრი
	ბლოგი